

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2016 წლის 30 დეკემბერი

ქ. ცაგერი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით. /დანართი №1/.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 დეკემბრის №53 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01/01/2016 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.116.016285).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბაქარ ყურაშვილი

დანართი №1

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის დადგენილება №1 - ვებგვერდი, 06.02.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 მარტის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 10.03.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 მარტის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 აპრილის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 10.04.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 მაისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 08.05.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 08.06.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 06.07.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 ივლისის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 11.07.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 ივლისის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 13.07.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 25.07.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №31 - ვებგვერდი, 22.08.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 ნოემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 03.11.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 14.11.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 07.12.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №60 - ვებგვერდი, 20.12.2017წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №63 - ვებგვერდი, 26.12.2017წ.



თავი I
ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტიური	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
შემოსავლები	8 174,3	9 731,3	8 463,7
გადასახადები	69,9	351,0	520,0
გრანტები	7 894,9	9 261,2	7 649,3
სხვა შემოსავლები	209,5	119,1	294,5
ხარჯები	4 839,1	4 838,8	4 910,9
შრომის ანაზღაურება	1 004,7	1 279,3	1 427,4
საქონელი და მომსახურება	679,5	669,9	761,7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	2 545,3	2 548,8	2 332,2
გრანტები	175,1	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	323,5	275,7	280,4
სხვა ხარჯები	110,9	65,2	109,1
საოპერაციო საღდო	3 335,2	4 892,5	3 552,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 680,7	5 365,1	5 458,2
ზრდა	4 692,9	5 373,1	5 563,9
კლება	12,2	8,0	105,7
მთლიანი საღდო	-1 345,5	-472,6	-1 905,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 390,5	-696,2	-1 984,1
ზრდა	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0



სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0
კლება	1 390,5	696,2	1 984,1
ვალუტა და დეპოზიტები	1 390,5	696,2	1984.103
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-45,0	-223,6	-78,8
ზრდა	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0
კლება	45,0	223,6	78,8
საგარეო	0,0	0,0	0,0
საშინაო	45,0	223,6	78,8
ბალანსი	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	8 186,5	10 034,3	4 948,3	5 086,0	8 569,4	3 415,0	5 154,5
შემოსავლები	8 174,3	9 990,7	4 948,3	5 042,4	8 463,7	3 415,0	5 048,8
არაფინანსური აქტივების კლება	12,2	43,6	0,0	43,6	105,7	0,0	105,7



გადასახდელები	9 577,00	10 730,484	5 592,2	5 138,3	10553,52	5080.4	5473.1
ხარჯები	4 839,09	5 392,7	456,0	4 936,7	4910,91	13,32	4897.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 692,90	5 218,7	5 028,1	190,6	5563,86	5062.9	500.9
ვალდებულებების კლება	45,01	119,145	108,1	11,0	78,75	78,75	4,11
ნაშთის ცვლილება	-1390.5	-696.2	-645.6	50.6	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8463.7 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		მათ შორის		საკუთარი შემოსავლები	მათ შორის		საკუთარი შემოსავლები
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
შემოსავლები	8 174,3	9 990,7	4 948,3	5 042,4	8 463,7	3 415,0	5 048,8
გადასახადები	69,9	480,4	0,0	480,4	520,0	0,0	520,0
გრანტები	7 894,9	9 361,2	4 948,3	4 412,9	7 649,3	3 415,0	4 234,3
სხვაშემოსავლები	209,5	149,1	0,0	149,1	294,5	0,0	294,5

მუხლი 4. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		მათ შორის		საკუთარი შემოსავლები	მათ შორის		საკუთარი შემოსავლები
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
გადასახადები	69,9	480,4	0,0	480,4	520,0	0,0	520,0
საშემოსავლო გადასახადი		205,0		205,0	240,0		240,0
ქონების გადასახადი	69,9	275,4	0,0	275,4	280,0	0,0	280,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	30,8	232,4		232,4	249,0		249,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	4,0	1,0	0,0	1,0	1,0	0,0	1,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	34,4	42,0	0,0	42,0	30,0	0,0	30,0



მუხლი 5. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7649.3 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	7 894,9	9 361,2	4 948,3	4 412,9	7 649,3	3 415,0	4 234,3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0			0,0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	0,0			0,0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7 894,9	9 361,2	4 948,3	4 412,9	7 649,3	3 415,0	4 234,3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7 427,9	8 840,8	4 527,9	4 312,9	4 526,1	291,8	4 234,3
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 081,8	4 312,9		4 312,9	4 076,3		4 076,3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	158,0	158,0	158,0		158,0		158,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	3 188,1	4 369,9	4 369,9		291,8	291,8	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	467,0	520,4	420,4	100,0	3 123,2	3 123,2	0,0
რეგ ფონდი					1 698,2	1 698,2	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	420,4	420,4				
მთავრობის სარეზერვო ფონდი		100,0		100,0			
სტიქია	467,0				1 425,0	1 425,0	1 425,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 294,5 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	209,5	149,1	294,5
შემოსავლები საკუთრივიდან	91,2	70,0	55,4



პროცენტები	27,6	20,0	5,0
რენტა	63,6	50,0	50,4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	63,0	50,0	50,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0,0	0,0	0,4
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0	0,0	50,4
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	27,5	54,1	26,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	8,8	33,0	6,0
სანებართვო მოსაკრებელი	3,6	3,0	1,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5,2	5,0	5,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	25,0	00,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18,7	21,1	20,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	18,7	21,1	20,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	90,8	25,0	32
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	0,0	181,1

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4975,6ათ, ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4 839,09	5 392,7	456,0	4 936,7	4910,91	13,32	4897,6
შრომის ანაზღაურება	1 004,75	1 305,9	45,4	1 260,5	1427,40	0,0	1427,40
საქონელი და მომსახურება	679,49	1 003,2	309,4	693,8	763,25	12,44	750,8
სუბსიდიები	2 545,29	2 679,9	98,2	2 581,7	2332,71	8,3	2324,4
სოციალური უზრუნველყოფა	323,53	320,0	1,5	318,5	280,41	0,0	280,41
grantebi	175,09	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა ხარჯები	110,95	83,8	1,5	82,3	107,15	0,88	106,27
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 692,90	5 218,7	5 028,1	190,6	5620,96	5120,08	500,9
ვალდებულებების კლება	45,01	119,145	108,1	11,0	78,75		78,75



მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5515,3ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა				2017 წლის გეგმა			
		2015 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 414,1	1 795,055	19,6	1 775,5	4 975,6	4 975,6	0,0	
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 410,6	1 790,1	19,6	1 770,5	1 994,8	1 994,8	0,0	
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 406,3	1 789,9	19,6	1 770,3	1 972,6	1 972,6	0,0	
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	4,3	0,2	0,0	0,2	1 912,6	1 912,6	0,0	
70113	საგარეო ურთიერთობები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
70121	ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
70122	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	3,5	5,0	0,0	5,0	0,0	0,0	0,0	
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	3,5	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0	
7014	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
7015	გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	



7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0	0,0	22,20		22,20
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	55,9	58,8	56,8	2,0	72,0	5,3	66,7
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	182,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	182,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7033	სასამართლოები და პროკურატურა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7034	სასჯელსრულების დაწესებულებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7035	გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 686,2	5 164,2	4 934,4	229,8	1647,1	1447,6	199,50
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	567,7	437,3	427,7	9,6	42,30	0,0	42,30
70421	სოფლის მეურნეობა	567,7	437,3	427,7	9,6	42,30	0,0	42,30
70422	სატყეო მეურნეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70423	მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7043	სათბობი და ენერგეტიკა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70431	ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70432	ნავთობი და ბუნებრივი აირი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70433	ბირთვული საწვავი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70434	სხვა სახის საწვავი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70435	ელექტროენერგეტიკა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



70436	არაელექტრული (მზის, ქარის, წყლის) ენერჯია	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70441	მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70442	გადამამუშავებელი მრეწველობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70443	მშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	2 909,6	1 265,1	1 138,1	127,0	2500,9	2359,3	141,6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 909,6	1 265,1	1 138,1	127,0	2500,9	2359,3	141,6
70452	საზღვაო ტრანსპორტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70453	სარკინიგზო ტრანსპორტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70454	საჰაერო ტრანსპორტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7046	კავშირგაბმულობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0,0	0,0	0,0	0,0	16,30		16,30
70471	ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70472	სასტუმროები და რესტორნები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70473	ტურიზმი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	0,0	0,0	0,0	0,0	16,30	0	16,30
7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70481	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70482	გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70483	გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერჯეტიკაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70484	გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გამოყენებითი კვლევები							



70485	ტრანსპორტის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70486	გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70487	გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	209,0	3 461,8	3 368,6	93,2	24,30	90,3	24,30
705	გარემოს დაცვა	278,5	192,4	187,4	5,0	291,8	258,8	33,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	278,5	192,4	187,4	5,0	291,8	258,8	33,0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	851,4	894,9	184,7	710,2	785,40		785,40
7061	ბინათმშენებლობა	66,2	126,3	61,9	64,4	44,10		44,10
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	302,4	446,9	122,8	324,1	205,80		205,80
7063	წყალმომარაგება	287,3	99,5	0,0	99,5	132	120,5	11,50
7064	გარე განათება	90,0	109,1	0,0	109,1	80,0		80,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	105,5	113,2	0,0	113,2	444,0		444,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	97,1	98,2	98,2	0,0	98,2	98,2	0,0
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70712	სხვა სამედიცინო პროდუქცია	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70713	თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70731	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70733	სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	97,1	98,2	98,2	0,0	98,2	98,2	0,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 085,4	1 376,6	0,0	1 376,6	1 036,6		1 036,6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	647,2	296,4	0,0	296,4	275,40		275,40
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 272,8	899,1	0,0	899,1	731,80		731,80
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	35,4	38,2	0,0	38,2	17,90		17,90
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	130,0	143,0	0,0	143,0	11,50		11,50
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
709	განათლება	1 092,8	663,8	0,0	663,8	642,10		642,10
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 002,5	576,1	0,0	576,1	575,50		575,50
7092	ზოგადი განათლება	34,3	31,7	0,0	31,7	0,0	0,0	0,0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70922	საბაზო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	34,3	31,7	0,0	31,7	0,0	0,0	0,0
7093	პროფესიული განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



7094	უმაღლესი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70941	უმაღლესი პროფესიული განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7095	უმაღლესისშემდგომი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	56,0	56,0	0,0	56,0	66,60	0	66,60
710	სოციალური დაცვა	355,3	367,4	3,0	364,4	279,0	0	279,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	2,5	1,5	1,5	0,0	1,5	1,5	0,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	259,3	292,4	0,0	292,4	200,0	0,0	200,0
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	91,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0	72,0
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2,5	1,5	1,5	0,0	1,5	1,5	0,0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1 905,4 ათასი ლარის ოდენობით



დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მილიანი სალდო	-1 345,5	-577.1	-535.8	-41.3	-1 905,4	-1 905,4	0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება ---0,0ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება-0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება-78.8 ათ ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი68.0 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც დახარჯულიან5.0ათ. ლარი

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 158.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 98,2ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 56,8ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1.5ათასი ლარი;

დ)„იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1.5ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ცაგერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მოსახლეობისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2017-2020 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ცაგერის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება(პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში რეგულარულად ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა-გაწვევის და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა რეგულარული აღრიცხვა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით პერიოდულად ხდება სტიქიური და მათ შორის განსაკუთრებით მეწყრული მოვლენებისაგან დაზიანებული გზების გაწმენდა ჩამონაშალი და მეწყრული მასისაგან, ასევე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება თოვლის საფარისაგან შიდა სასოფლო და სოფლებისა და მუნიციპალიტეტის ცენტრს შორის დამაკავშირებელი გზების გაწმენდა. 2017 წელს განხორციელდება ქ.ცაგერში ქუჩების ასფალტირების სამუშაო კერძოდ ნინოშვილის,ასლანიკაშვილის და ჭავჭავაძის ქუჩები, ასევე ქვ ცაგერში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაო.

2.2 ა(ა)იპ "ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მონიტორინგი"(პროგრამული კოდი 03 02)

გზების მდგომარეობის გასაუზრუნველყებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად ამ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მონიტორინგის ცენტრი.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მაწანწალა ცხოველების იზოლაცია, ასევე იგეგმება წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები.

2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე დასოფლის ცენტრებში ახალი წერტილების მოწყობა.

2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(პროგრამული კოდი 03 03 04)

მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი იქნება სხვადასხვა დიამეტრის მილები, რომელიც საჭიროა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის. გასულ წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სოფლების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, რაც გაგრძელდება 2017წელსაც.საქ.მთავრობის განკარგულებით 2017 წელს განხორციელდება სოფ.ლაილაშის სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაო.

2.2.3.მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.2017 წელს იგეგმება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმება სხვადასხვა დეკორაციებით,საახალწლოდ ქალაქის ცენტრშიცენის მოწყობა და ქალაქის ქუჩების საახალწლო განათების დამონტაჟება.ასევე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხით, განხორციელდება სპორტკომპლექსის ელ.ენერჯის მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით 1000კვტ-იანი ტრანსფორმატორის შესყიდვა და დამონტაჟების სამუშაო.

2.2.4.ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვისსაჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.2.5.უმეტვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია(პროგრამული კოდი 03 03 09)

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის დავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.2.6 ა(ა)იპ „კომუნალური მეურნეობა“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის დასახლებებში კომუნალური მომსახურეობის(ტერიტორიების დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა) და გარე განათების უზრუნველყოფა. ქ. ცაგერის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქ. ცაგერის ტერიტორიაზე კეთილმოწყობა და გამწვანება. ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ იქნა სპეციალური ნაგავშიდი და სანაგვე ურნები, მოსახლეობას მოემსახურება ასენიზაციის ავტომატქანა.



2.2.7 ა(ა)იპ „ცაგერის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების, განვითარებისა და ანალიტიკის ცენტრის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 12)

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვის, ადგილობრივი შემოსავლების გაზრდისათვის ღონისძიებების შემუშავება-დაგეგმვა, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების, განვითარების და ანალიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის დასაქმებას.

2.2.8. ა ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული წყალმომარაგების სისტემების ზედამხედველობისა და კონტროლის ცენტრი" (პროგრამული კოდი 03 03 13)

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლი, შესაბამისად შეიქმნა ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემის ზედამხედველობა და კონტროლის ცენტრი, ცენტრი კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტში არსებულ წყალმომარაგების სისტემებს, მის სანიტარულ -ჰიგიენურ პირობებს, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის საჭირო წყალსადენების დადგენას, სათავე ნაგებობის გაწმენდა-დამუშავებას და პერიოდულად სასმელი წყლის ლაბორატორიულ ანალიზს.

2.2.9 ა(ა)იპ "ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი" (პროგრამული კოდი 03 03 14)

ცაგერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის სერიოზული პრობლემებია სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, დარგში არსებული პრობლემების აღმოფხვრა -გადაჭრის მიზნით შეიქმნა ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი.

2.2.10 ა(ა)იპ "ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი" (პროგრამული კოდი 03 03 15)

გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად, წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, მისი სანიტარულ -ჰიგიენურ პირობების, ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, არსებული პრობლემების აღმოფხვრა -გადაჭრის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი"

2.3 მძიმე ტექნიკის შეძენისა და მოვლა შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით პერიოდულად ხდება სტიქიური და მათ შორის განსაკუთრებით მეწყრული მოვლენებისაგან დაზიანებული გზების გაწმენდა ჩამონახალი და მეწყრული მასისაგან, რისთვისაც გამოიყენება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მძიმე ტექნიკა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნახსენები მძიმე ტექნიკის მოვლა- შენახვა და სათადარიგო ნაწილების შეძენა, ასევე ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება ზემოთ ტექნიკის საწვავით (დიზელი) უზრუნველყოფა.

2.4. მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 07)

2017 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2017 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის , ცაგერ-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვირიშის, ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დეხვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შ.პ.ს. „საჭე-ცაგერი“),

2.5. მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 08)

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა პროექტების განხორციელება, რომლის 15%-იან თანადაფინანსება უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტმა.



2015 წელს ამ ქვეპროგრამით დაფინანსდა ის პროექტები, რომელთა დასრულებაც ვერ მოხერხდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით და შესაბამისად მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით დასრულდა, რაც გაგრძელდა 2016 წელსაც, 2017 წელს ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების, კერძოდ სპორტული კომპლექსის, მწვანე თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება(პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 300 მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთ ბავშვზე მშობელთა შენატანი შეადგენდა 5 ლარს და აღნიშნული თანხით ფინანსდებოდა კვება (პურის ღირებულება). 2013წელს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ „ კანონში შევიდა ცვლილება, რის საფუძველზეც გაუქმდა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება სასწავლო აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურებისათვის, კანონის შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებათა სამსახურშიც გაუქმდა გადასახადი. ბავშვების აღზრდას ემსახურება 78 პედაგოგი და 78 დამხმარე მოსამსახურე. იგეგმება მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში შიდა წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგება და მათი გამრიცხველიანება. 2017 წელს საბავშვო ბაღების კვების ბლოკებისათვის შეძენილი იქნება ჭურჭელი, ხოლო ბავშვებისათვის -სათამაშოები.ქალაქის ბაღებისათვის შეძენილ იქნება ინვენტარი.

3.2 მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 20 წრე, რომელშიც ჩაბმულია 200 მოსწავლე.(სადმრთო სჯული, მხატვრული კითხვა,დრამატული მხარეთმცოდნეობა, სახალისო მათემატიკა, ზოგადი უნარები, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, ქიმია,ქსოვა,ნორჩი მათემატიკა, ფოლკლორი, ცოცხალი სამყარო, ლიტერატურულ– შემოქმედებითი, მუსიკა)

3.3 ა(ა)იპ ლეჩხუმის განათლების მუზეუმი (კოდი 04 03)

ლეჩხუმის განათლების მუზეუმი, რომლის ანალოგი ცაგერის მუნიციპალიტეტში დღემდე არ არსებობს დაიწყო ღვაწლმოსილი პედაგოგების შესახებ ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და კლასიფიცირება.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და შენარჩუნებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

